სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა მუშაობა

1961 წლის 18 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაამთავრა დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვა — 1960 წელს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, სახელმწიფოსათვის მიყიდვის სახელმწიფო გეგმისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ერთსულოვნად მოიწონეს პლენუმის მონაწილეებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. მ. ა. სუსლოვის მოხსენება კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის შედეგების შესახებ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო დადგენილება ამ საკითხზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატებად აირჩია ამხ. გ. ი. ვორონოვი (სკკპ ორენბურგის საოლქო კომიტეტის მდივანი) და ამხ. ვ. ვ. გრიშინი (საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამით დაამთავრა მუშაობა.

პროლეტარეებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 10 (1646) ○ კვირა, 22 იანვარი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

საერთაშორისო სარბიელზე

ამას წინათ საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. პესლიაკი ესაუბრა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის შესახებ.

1961 წელს საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოსა და ევროპის 47 ჩემპიონატში. ამას გარდა გაიმართება მრავალი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. ასე მაგალითად, მიმდინარე წლის აპრილში კიევში ერთმანეთს შეხვდებიან 12 სახელმწიფოს ტანმოძრაობელ[illegible] მოსკოვში — [illegible] რი შეჯიბ[illegible] სახელობის ჯილდოზე. იელისის ბოლო რიცხვებში „ნავარაუდევია აშშ-სსრკ მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრის მოწყობა.

აპრილში თბილისის, კიევისა და მოსკოვის კალათბურთელები შეხვდებიან ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებს. საბჭოთა კავშირის ნაკრები წყალბურთში აგვისტოში გამართავს შეხვედრებს: უნგრეთის, იტალიის, ჰოლანდიის, რუმინეთის, იუგოსლავიის გუნდებთან. საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები ჩაატარებს მსოფლიო პირველობის შერჩევით მატჩებს თურქეთის და ნორვეგიის გუნდებთან. ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას გადაწყვეტილი აქვს საბჭოთა კავშირში მოიწვიოს: ავსტრიის, იტალიის, ალბანეთის, ბულგარეთის, ბრაზილიის, ინგლისის, უნგრეთის, განის, გდრ-ს, ჩინეთის, კორეის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, შვეიცის, კამბოჯის, ფინეთის, ცეილონის, ჩეხოსლოვაკიის და სხვა ქვეყნების ნაკრები გუნდები.

★

შეხედეთ საქართველოს სსრ ცეკვის დამსახურებული ანსამბლის მოცეკვავის ნახტომს, განა შეიძლება სათანადო ფიზიკური წრთობის გარეშე მისი შესრულება?

☆

სახელოვანი იუბილარი

საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს არსებობის 15 წელი შეუსრულდა. სახელოვანი, სამშობლოს სახელისა და დიდებისათვის კეთილშობილურ შემოქმედებით შრომაში ფეხწამოსილი 15 წელი!..

დიდია ჩვენი ხალხისათვის საყვარელი ამ მხატვრული კოლექტივის დამსახურება ეროვნული კულტურის წინაშე. მან არა მარტო შეკრიბა, დაამუშავა და ააღორძინა რესპუბლიკის ყველა კუთხეში არსებული ხალხური ცეკვები, არამედ შორს გაიტანა ქართული ცეკვის, ქართული ხელოვნების სახელი და დიდებით შემოსა იგი მსოფლიოს თითქმის ყოველ კუთხეში.

ყოველივე ამის გამო ქართველი მაყურებელი, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა ღირსეული პატივისცემითა და სიყვარულით აღნიშნავს ანსამბლის საიუბილეო დღეებს და სათანადო საზღაურს უზღავს მისი ხელმძღვანელების — ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის, მხატვრის — ს. ვირსალაძის, კომპოზიტორის — ა. კერესელიძისა და კოლექტივის ყველა წევრის დამსახურებას.

ანსამბლის შემოქმედება განსაკუთრებით ძვირფასი და ახლობელია ქართველი სპორტსმენებისათვის და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მან შესანიშნავი მხატვლი ენით აამეტყველა ეროვნული სპორტის საზეობანი ცეკვებში „მხედრული“, „ლელო“ და სხვ., არამედ იმიტომაც, რომ იგი თავის უბადლო ქორეოგრაფიულ ქმნილებებში გადმოსცემს ჩვენი ხალხის სიცოცხლისმოყვარეობას, ვაჟკაცობას, სიჩაუქესა და სიკისკასეს. ეს კი მეტად ახლობელი და ნაცნობი სფეროა ჩვენი სპორტსმენებისათვის!

ევროპის ჩემპიონთა თასზე

გდრ

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ქალაქ ჰალეში გაიმართა კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების კალენდარული შეხვედრა ქალთა გუნდებს შორის. თამაშობდნენ ტარტუს უნივერსიტეტის (უსკა) და საზოგადოება „ხიმიას“ სპორტული კლუბის გუნდები (გდრ). ჩვენმა კალათბურთელებმა მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით — 71:49 (34:18).

ამ გუნდების განმეორებითი მატჩი გაიმართება ესტონეთში. გამარჯვებული კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს თასის გათამაშების ნახევარფინალში.

საფრანგეთი

საფრანგეთის ქალაქ შარლევილ-მეზიერში (არდენის დეპარტამენტი) გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩი კალათბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ჩემპიონები: არმიის ცენტრალური კლუბის გუნდი და „ეტუალ დე შარლევილი“.

საბჭოთა სპორტსმენებმა ეს მატჩი მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით — 68:28. ზემოაღნიშნული გუნდების განმეორებითი შეხვედრა მოეწყობა 15 თებერვალს კიევში.

ოთხი ქალაქის მაჯჩი

ვილნიუსში დამთავრდა ოთხი ქალაქის ვაჟთა გუნდების ტურნირი კალათბურთში. მონაწილეობდნენ კაუნასის, ვილნიუსის, ლვოვისა და მინსკის გუნდები. პირველი ადგილი დაიკავა კაუნასის „ჟალგირისმა“, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ვილნიუსის „სპარტაკის“, მინსკისა და ლვოვის კალათბურთელები.

ჩვენი რედაქციის ფოსტიდან

ახლახანს ჩვენმა რედაქციამ იუგოსლავიიდან მიიღო პრეს-ბიულეტენი, რომელიც ეხება მძლეოსნობაში ევროპის VII ჩემპიონატისათვის მზადებას. როგორც ცნობილია, ეს ჩემპიონატი ჩატარდება ბელგრადში, 1962 წლის 12-16 სექტემბერს. ბიულეტენში წარმოდგენილია ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც თითქმის ამთავრებს მოსამზადებელ სამუშაოებს. კომიტეტის პრეზიდენტია ვლადო ივკოვიჩი — იუგოსლავიის მძლეოსანთა ფედერაციის პრეზიდენტი. კომიტეტი შედგენილია ექსპერტებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ ყოველგვარი პასუხი გასცენ და საქმის კურსში იყვნენ ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლებიც ევროპის ჩემპიონატისათვის სამზადისის პროცესში წარმოიშვება.

როგორც ცნობილია, ევროპის ჩემპიონატი მძლეოსნობაში, ისევე როგორც ოლიმპიური თამაშები, ეწყობა ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ. პირველი ჩემპიონატი ჩატარდა პარიზში (1938 წელს), შემდეგ: ოსლოში, (1946), ბრიუსელში (1950), ბერნში (1954) და სტოკჰოლმში (1958). როგორც წესი, ეს ჩემპიონატები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ყველგან და მსოფლიოს მძლეოსნური წრეების დიდ ყურადღებას იპყრობდნენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ბელგრადის VII ჩემპიონატს. იგი ერთგვარი პრელუდიაა იმ დიდი ბრძოლებისათვის, რომელიც 1964 წელს გაიმართება ტოკიოში, ოლიმპიურ თამაშებზე.

„ბელგრადი ღირსეულად დახვდება სტუმრებს“ — იუწყება ბიულეტენი. ამ საკითხის მოსაგვარებლად რამდენიმე დღეს გრძელდებოდა თათბირი, რომელიც გაიმართა ქალაქ ბელგრადის მერის — ჯიურიკა იოკიჩის რეზიდენციაში, და რომელსაც ესწრებოდნენ მაღალი თანამდებობის პირები. კრებაზე გათვალისწინებულ იქნა ყველა საკითხი, რომელიც ევროპის პირველობის მონაწილეების, მსაჯებისა და ტურისტების მიღებასთან არის დაკავშირებული. სხვათა შორის, აქ გათვალისწინებულია 15-20 ათასი უცხოელი ტურისტის ჩამოსვლა. მათ მოემსახურება სპეციალური საინფორმაციო პოსტები, რომლებიც ყოველგვარ საინტერესო საკითხზე გასცემენ ამომწურავ პასუხს. შენდება სპეციალური სასტუმრო — „სლავია“, რომელიც აქ ჩამოსულ 500 ჟურნალისტისათვის იქნება განკუთვნილი. განსაკუთრებით ბევრი ადგილია გათვალისწინებული სტუმრებისათვის ახალი ბელგრადის რაიონში არსებულ საუნივერსიტეტო ქალაქში. მიღებულია უამრავი სხვა ღონისძიებაც.

ჩემპიონატი გაიმართება იუგოსლავიის სახალხო არმიის სახელობის სტადიონზე. ამჟამად დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ამ სტადიონის გადაკეთებისა და კეთილმოწყობისათვის, რათა მან ყოველნაირად უპასუხოს შეჯიბრებათა ჩატარების უახლეს მოთხოვნებს. ეს სამუშაოები დამთავრდება 1961 წლის 10 მაისისათვის.

ევროპის მძლეოსანთა VII ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა 1961 წლის დადგომისთანავე დაიწყო ოფიციალური ბიულეტენების გამოშვება.

პრეზიდენტის თასზე

1959 წელს საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებოდა ფინეთის პრეზიდენტი ურხო კეკონენი, რამელმაც სვერდლოვსკელ სპორტსმენებს აჩუქა თასი, ეს თასი გადაიქცა მოცეგურეთა ტრადიციულ შეჯიბრების მთავარ ჯილდოდ. თასის წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობს 120 სპორტსმენი. მაღალი შედეგები იქნა ნაჩვენები სპრინტერულ დისტანციაზე (500 მეტრზე). ქალთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ნ. კაზანცევამ — 48,0, ხოლო ვაჟთა შორის ნ. კაიდალოვმა—43,5.

საკუთარი წვლილი შევიტანოთ სპორტული ბაზების მშენებლობაში!



სურათებზე: ქუთაისის აბრეშუმ-კომბინატის კომკავშირელები სტადიონის მშენებლობაზე.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

ახალგაზრდები ვალდებულებას ანაღდებენ

ჯერ კიდევ გასული წლის დასასრულს ქუთაისის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ივალდებულეს თავიანთი წვლილი შეეტანათ ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობის საქმეში. ქალაქის საწარმოო დაწესებულებებში შეიქმნა ახალგაზრდული ბრიგადები, რომელთა შორის განაწილდა სხვადასხვა ხასიათის სამუშაო და ახალგაზრდები მალე საქმესაც შეუდგნენ.

კარგი ამინდი მშენებლებს ხელს უწყობს აღებულ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებაში. დიდი მონდომებით შრომობენ საავტომობილო ქარხნის, სამკერვალო ფაბრიკის, ტროლეიბუსების სამმართველოს, მე-3 ტექნიკური სასწავლებლის და სხვა ორგანიზაციების ბრიგადები.

ნაყოფიერად მუშაობდნენ სტადიონის აღმოსავლეთი მხარის ტერიტორიაზე აბრეშუმკომბინატისა და სამკერვალო ფაბრიკის ახალგაზრდები. აბრეშუმკომბინატიდან თავი გამოიჩინეს გ. ველიაშვილმა, გ. ლომსიანიძემ, ძმებმა ორჯონიკიძეებმა, ჯ. ჩხეიძემ, ზ. კუტივაძემ, გ. გოგიაშვილმა და სხვებმა.

მკერავთა კოლექტივში თავი ისახელეს ბ. ხოხიაშვილმა, დ. ლოსაბერიძემ, ს. კიკვიძემ, რ. შენგელიამ, ჯ. ვახტანგაძემ, ვ. კაპანაძემ, მ. გურგენიძემ და სხვებმა. მათ არ ჩამორჩებიან № 4 სამშენებლო ტრესტის ბრიგადები მ. კიკვიძის, ვ. ბრიოსანისა და ბ. ხახალეიშვილის ხელმძღვანელობით.

სამუშაოთა უფროსმა მწარმოებელმა ინჟინერმა ვ. მიქაბაძემ ბევრი რამ საინტერესო მოგვითხრო ახალგაზრდული ბრიგადების ნაყოფიერი შრომის შესახებ. მისი თქმით სტადიონს მომავალი სეზონისათვის ექნება 22 ათასი საჯდომი ადგილი, აიგება 12 მ სიმაღლის კოშკურა, კიდევ უფრო გაუმჯობესდება მაყურებელთა მიღებისა და განტვირთვის გზები.

ახალი სპორტული ბირთვი

სტადიონების ამჟამად არსებული დაგეგმარება, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტებში იწოდება „სსრკ ნორმალური სპორტული ბირთვის ტიპობრივ პროექტად“ ბევრ ნაკლოვანებას შეიცავს. მაგალითად, ყველა დისტანციის ფინიში მოთავსებულია მოსახვევზე და არა იმ ადგილას, სადაც სარბენი ბილიკის მოსახვევი სწორს უერთდება, ეს კი თავის მხრივ იწვევს სასტარტო ადგილების (200 და 400 მ რბენისას) მოსახვევზე განლაგებას და შეცდომებს გასარბენ მანძილში (ვინაიდან ამ მანძილებზე ე. წ. „ფორები“, ანუ სასტარტო ადგილების გადანაცვლება პირველ ბილიკთან შედარებით გათვლილია მთლიან მოსახვევზე და არა მის ნაწილზე). 110 მეტრზე თარჯრბენის დაკვალა, ფინიშის ასეთ განლაგებასთან დაკავშირებით, გართულებულია.

სახტომი ადგილების განლაგებაც დაკავშირებულია მთელ რიგ ნაკლოვანებებთან. სექტორების ე. წ. „სარკისებური“ დაგეგმვა, არ იძლევა საშუალებას სხვადასხვა სექტორებზე სიმაღლეზე სახტომი ადგილების ერთდროულად გამოყენების საშუალებას თანაბარ პირობებში, ვინაიდან ქარის მიმართულება, მზის მდგომარეობა ამ ადგილების მიმართ ერთიმეორის საწინააღმდეგოა. სიგრძეზე და ჰოკით ხტომისათვის, აგრეთვე სამხტომისათვის ყოველ სექტორზე 2-2 ადგილია, მაგრამ მათ გააჩნიათ ერთი საერთო გამოსარბენი ბილიკი, რაც გამორიცხავს მათი ერთდროულ გამოყენების საშუალებას.

არადამაკმაყოფილებელია ტყორცნებში წვრთნისა და შეჯიბრების ჩატარების პირობები. ბირთვის კვრის სექტორი განისაზღვრება მხოლოდ 17 მეტრით და ამას გარდა მათი „სარკისებური“ განლაგება ქმნის არათანაბარ პირობებს.



სურათი № 1.

შუბის სატყორცნად გათვალისწინებულია 4 ადგილი, მაგრამ მათი განლაგება ისეთნაირია, რომ გამორიცხავს თუნდაც 2 ადგილის ერთდროულად გამოყენებას, ვინაიდან იარაღის დაცემის სექტორები ერთიმეორეს ემთხვევიან.

საბჭოთა კავშირის მძლეოსნობის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ მიმართა სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირს არსებული ტიპობრივი პროექტით სტადიონების მშენებლობის აკრძალვის შესახებ.

ეს წინადადება მიღებულ იქნა და დამტკიცდა სტადიონების სპორტული ბირთვის დაგეგმვის ახალი ვარიანტი, რომელიც სავალდებულოა მშენებლობისათვის და ითვალისწინებს არსებულ ნაკლოვანებათა თავიდან აცილებას.

პირველი ვარიანტი (სურ. № 1) — სარაიონო და უფრო მცირე მასშტაბის სტადიონებისათვის. სპორტულ ბირთვს უნდა ჰქონდეს 7,5 მ_ს სიგანის წრიული სარბენი ბილიკი (ტრიბუნები 5 ათასი მაყურებლისათვის).

მეორე ვარიანტი — სპორტული ბირთვი ქალაქების მასშტაბის სტადიონებისათვის (ტ რ ი ბ უ ნ ე ბ ი თ 5000 და 10.000 მაყურებლისათვის). წრიული სარბენი ბილიკი უნდა იყოს ისეთი სიგანის, რომ ძირითად (დასავლეთ) მხარეზე მოთავსდეს 8 ცალკეული ბილიკი (10 მეტრი) ორივე მოსახვევზე, აღმოსავლეთსწორზე კი—7 (8,75 მ) ბილიკი.

მესამე ვარიანტი—(სურ.2) სპორტული სარბიელი სტადიონებისათვის ტრიბუნებით 10.000 და მეტი მაყურებლისათვის. სპორტული სარბიელი განსხვავდება მეორე ვარიანტის სპორტული ბირთვისაგან მხოლოდ ხტომებისათვის დამატებითი სექტორებით. (დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებზე), მათი განლაგება შესაძლებელია ტრიბუნების ოვალური ფორმის გამო. ნავარაუდევია, რომ ყველა დიდ სტადიონს უნდა გააჩნდეს ოვალური ტრიბუნა და მისთვის შესაფერისი მესამე ვარიანტით გათვალისწინებული დაგეგმვა.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შეჯიბრების ადგილების განლაგება სამხრეთ და ჩრდილოეთ სექტორებზე სამივე ტიპის სტადიონზე ერთნაირია, რათა სპორტსმენებს წვრთნა და შეჯიბრება მოუხდეთ ერთნაირ პირობებში.

ახალი დაგეგმვის ძირითადი თავისებურებანი შემდეგია: სამივე ტიპის სპორტულ ბირთვში გათვალისწინებულია წრიული ნახერხის ბილიკი (10), რომელიც სარბიელის ან სპორტული ბირთვის გარეთა პერიმეტრზეა მოთავსებული.

ყველა სარბენი დისტანციის ფინიში (1) განლაგებულია არსებული შეჯიბრების წესების თანახმად. ფინიშის ხაზი მოთავსებულია მოსახვევის და სწორის შეერთების ადგილას 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენისათვის წყლიანი ორმო (8) გატანილია ჩრდილოეთ სექტორის გარეთ. ეს არა მარტო აუმჯობესებს რბენის ჩატარების პირობებს (მონაწილეები დარბიან იგივე 36_მეტრიან რადიუსიან მოსახვევზე), არამედ იძლევა ჩრდილოეთ სექტორის ფართობის სრული გამოყენების საშუალებას.

სიმაღლეზე ხტომის ორივე ორმო (2) მოთავსებულია სამხრეთ სექტორში, რაც ქმნის ერთნაირ პირობებს ორივე ადგილას. გამორბენი და თვით უშუალო ხტომა წარმოებს ამ შემთხვევაში ტრიბუნების მხარეს, რაც ერთგვარ უპირატესობას უქმნის მხტომელებს, ვინაიდან მათ სარბენი ბილიკებიდან აღარ მოუხდებათ გამორბენის დაწყება. სამხტომის, ჰოკით და სიგრძეზე სახტომი ორმოების გამოყენება შეიძლება ერთდროულად გრძივი ღერძების ურთიერთ გადაადგილების გამო, რომლებიც მოთავსებულია ჩრდილოეთ და სამხრეთ სექ-ტორებზე, სამხტომში ორმოებ-ზომები შეთავსებულია საერთაშო-რისო მძლეოსნური ფედერაციის-და საბჭოთა კავშირში მიღებულ-ი შეჯიბრების ახალ წესებთან.

ბადროს ტყორცნის და ურო-ტყორცნის (5) ადგილები მოთავსებულია უსაფრთხოების პირობებ-მაქსიმალური გათვალისწინებ ი-ტყორცნები არ უშლის ხელს სარ-ბენ ბილიკზე და სახტომ სექტორ-მყოფ სპორტსმენებს წვრთნის-შეჯიბრების დროს.

შუბის ტყორცნის ორი ადგილ-(6), ნაცვლად ადრე არსებული ოთ-ხისა, მოთავსებულია სამხრეთ სექ-ტორში, მაგრამ ისე, რომ სექტ-რების ღერძების დაშორება ერთ-მეორესაგან იძლევა მათი ერთდრო-ული გამოყენების საშუალებას.

ბირთვის კვრის ორი ადგილი-იმყოფება ჩრდილოეთ სექტორშ-მიმართულია ერთ მხარეს. სექტ-რის ზომები გადიდებულია.

მოყვანილ ნახაზებზე ნაჩვენებ-არასამუშაო ადგილები (9), სამ-რეთ სექტორზე და წრიულ სარბ-ბილიკის გარეთა მხარეს. ეს ადგ-ლები შეიძლება დაიფაროს სპეც-ფენით ან გამოყენებულ იქნას ა-ვილნარისა და დეკორატიული ბ-ზონებისათვის.

ლ. გიორგაძ-

საკავშირო კატეგორიის მხაჯ-
მძლეოსნობაში.



ხურათი № 2.

ლ ე ლ ო

მე_2 გვ. № 10 (1646)

მეჯიბრეების დებულებიდან

27 იანვარს თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე მდებარე ტანვარჯიშის ბავშვთა ცენტრალური სკოლის დარბაზში დაიწყება საბჭოთა კავშირის უძლიერეს ხელბურთელთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერეს ვაჟთა და ქალთა კოლექტივები.

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან სამ ჯგუფად. ვაჟთა პირველ ჯგუფში გამოდიან: საქართველოს, ლენინგრადისა და უკრაინის კოლექტივები. მეორე ჯგუფში გაერთიანდნენ: ბელორუსიის, მოსკოვისა და აზერბაიჯანის კოლექტივები. მესამე ჯგუფში 4 გუნდი მოხვდა ესენია: სომხეთი, რუსეთის ფედერაცია, ლატვია და მოლდავეთი.

ქალთა ჯგუფები ასე გამოიყურებიან: პირველი ჯგუფი — ლატვია, აზერბაიჯანი, მოსკოვი. მეორე ჯგუფი — საქართველო, უკრაინა, ლენინგრადი. მესამე ჯგუფი — რუსეთის ფედერაცია, ბელორუსია, ლიტვა.

ჯგუფებში ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდება. აქ პირველ მეორე ადგილებზე გამოსული კოლექტივები შემდგომში შექმნიან ფინალურ ჯგუფს, სადაც გათამაშდება პირველი ექვსი ადგილი. ჯგუფების შედეგი ფინალში ჩაითვლება. ტურნირში გამარჯვებული კოლექტივი მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონთა თასის 1962 წლის გათამაშებაში.

გურჯაანი

საქართველოს საჭადრაკო პირველობის გურჯაანის ნახევარფინალური ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. აქ უკვე გამოვლინდნენ ფინალში გასვლის ძირითადი კანდიდატები. წინაა რ. შეინცვიტი, რომელსაც ათი შესაძლებლიდან მოგროვილი აქვს 9 ქულა. მას ორი ქულით ჩამორჩებიან ა. გაგუა და ჯ. ბერაძე.

საქართველოს პირველობის ნახევარფინალები ჭადრაკში

სტალინირი

სტალინირის ნახევარფინალურ ჯგუფში უკვე გათამაშდა 11 ტური. შეჯიბრების ლიდერი ოსტატობის კანდიდატი თ. გიორგაძეა, დარჩენილ შეხვედრებში გამოირკვევა, თუ რომელი იქნება ის ორი სპორტსმენი, ვინც მიიღებს საგზურს ფინალისაკენ.

ა. ბლაგიძე,
სპორტის ოსტატი.

ბურთაობა

ტალინირის ბურთაობის კანდიდატი ბრეიტმანი, რომელსაც 9 ქულა და 1 ჩამორჩენილი პარტია აქვს. რაზოვსკის აქვს 8 ქულა, ცხოვრებოვსა და თურქაძეს 7_7 ქულა თვითეულს.

ᲓᲘᲓ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲖᲔ

ხელბურთი (7×7) სპორტის ერთ-ერთი ახალგაზრდა სახეობაა ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ, საქართველოში. რესპუბლიკის სპორტსმენები სულ რამდენიმე წელია, რაც მონაწილეობენ საკავშირო შეჯიბრებებში და ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ მათ ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებას. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის უძლიერეს კოლექტივებთან შეხვედრამ ჩვენს ხელბურთელებს ბევრი სარგებლობა მოუტანა ტექნიკის ათვისებისა და თამაშის გაგების თვალსაზრისით.

1959 წელს ხარკოვში გაიმართა ჩვენი ქვეყნის 6 უძლიერესი კოლექტივის საკავშირო ტურნირი. საქართველოდან მასში მხოლოდ ქალთა გუნდი გამოდიოდა. შეჯიბრებაში გაიმარჯვეს კაუნასის „ეალგირისის“ ქალთა და კიევის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდებმა. ერთი წლის შემდეგ ლენინგრადში უკვე 8 ქალაქის კოლექტივი შეიკრიბა, ამჯერად ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის ქალთა და ვაჟთა გუნდებიც გამოდიოდნენ. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, კაუნასის, მინსკის, ბაქოს და სხვა კოლექტივებთან ბრძოლაში, ჩვენმა ხელბურთელებმა არადამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს—ვაჟებმა დაიკავეს მეშვიდე ადგილი, ხოლო ქალებმა — მერვე. რა იყო ამის მიზეზი? პირველ რიგში სპორტსმენთა არასაკმარისი ფიზიკური მომზადება. პირველ ტურში საქართველოს გუნდი შეხვდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს კოლექტივს— კიევის „ბურევესტნიკს“. ტაიმი მოიგეს ჩვენებმა — 6:4. მეორე ნახევარში

გ. შარაშიძე,
ხელბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

არასაკმარისი ფიზიკური მომზადების გამო დასთმეს პოზიციები და წააგეს შეხვედრა — 14:11. იგივე სურათი განმეორდა მომდევნო მატჩებშიც. ლიტველ ხელბურთელებთან ჩვენი სპორტსმენები ტაიმს იგებდნენ — 5:3, მოსკოველებთან —4:3, მაგრამ საბოლოო შედეგი მაინც მათთვის არასახარბიელო იყო, მართალია, ჩვენმა გუნდმა მომდევნო მატჩები უკეთ ჩაატარა (როგორც იტყვიან გუნდი შეჯიბრების პროცესში შევიდა ფორმაში), მაგრამ სტარტზე წარუმატებლობამ მაინც თავისი დაღი დაასვა საერთო მაჩვენებლებს.

არის მეორე მიზეზი, ხელბურთის თამაშისათვის საჭირო დარბაზი (ფართობით 40×20 მეტრზე) ჩვენს სპორტსმენებს არ გააჩნიათ. ისინი ვარჯიშობდნენ მომცრო გაბარიტების დარბაზში და დიდ ფართობზე მათ ენერგია აღარ ყოფნიდათ.

გვქონდა ტაქტიკური ხასიათის ხარვეზებიც, რომლის გამოსწორებასაც შემდგომში მთავარი ყურადღება მიექცა. ასე მაგალითად, ჩვენი ხელბურთელები იმდენად ერთობოდნენ შეტევით, რომ შემდეგ აღარ ფიქრობდნენ დაცვაზე (ან ვერ ასწრებდნენ) და მოწინააღმდეგეს რიცხვობრივი უპირატესობის საშუალებას აძლევდნენ. შემდეგ, თამაშს ჩვენი ხელბურთელები ატარებდნენ ერთი წინასწარი არჩეული ვარიანტით და პირობების შესაბამისად ვერ ცვლიდნენ მას. ტაქტიკური ერთფეროვნება კი ჩვენი გუნდების წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზია. ბოლოს ჩვენი სპორტსმენები საკმარისად ვერ ფლობდნენ დაცვაში „პერსონალური აყვანის“ პრინციპს.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად ჩვენი გუნდის თამაშმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა სპეციალისტებზე. ჯერ ერთი, ტურნირში ჩვენ მესამე ადგილზე გამოვედით გატანილი ბურთების რაოდენობით. შეჯიბრების ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი საქართველოს გუნდის წევრი ჯ. ცერცვაძე აღმოჩნდა, რომელსაც თავის აქტივში 41 გატანილი ბურთი ჰქონდა. ცერცვაძე შეყვანილ იქნა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. ყველაფერი ეს ჩვენ საბაბს გვაძლევდა გვეფიქრა, რომ საქართველოს ხელბურთელები ნაყოფიერი წვრთნის შედეგად ჩვენი ქვეყნის წამყვან სპორტსმენთა რიგებში აღმოჩნდებოდნენ.

და აი, ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდები შეუდგნენ ენერგიულ ვარჯიშს, გათვალისწინებულ იქნა ყველა ზემოჩამოთვლილი ნაკლოვანებები. რამდენად შეძლეს მათ ამ ხარვეზების დაძლევა ამას გვიჩვენებს უძლიერესი გუნდების საკავშირო ტურნირი, რომელიც ამ დღეებში თბილისში დაიწყება.

ᲠᲐᲞᲘᲠᲘᲗ ᲒᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ოდესაში ჩატარდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ფარიკაობაში მოზარდთა შორის. მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, სარატოვის და სხვა ქალაქების ნაკრები გუნდები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა მოსკოვის ძლიერმა კოლექტივმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ საქართველოს მოფარიკაველები. მესამე ადგილი წილად ხვდათ სარატოველ სპორტსმენებს.

რაპირით მოფარიკავე ვაჟთა შორის აშკარა იყო ქართველ სპორტსმენთა უპირატესობა. აღსანიშნავია, რომ ფინალში საქართველოდან გამოდიოდა ოთხი მოფარიკავე. პირველი ადგილი და ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისელმა გ. ანდრიაძემ. მეორე ადგილზე გამოვიდა მისივე თანაგუნდელი გ. ცანავა. ამ იარაღში პირველი ადგილი მოიპოვა საქართველოს გუნდმა გ. ანდრიაძის, გ. ცანავას და თ. მაღალაშვილის შემადგენლობით.

ესპადრონით ფარიკაობაში ჩემპიონი გახდა მოსკოველი ვ. კოპილოვი. საქართველოს გუნდის წევრი მ. ადეიშვილი III ადგილზე გამოვიდა. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ მოსკოველები, მეორე ადგილზე — ქართველი სპორტსმენები.

განსაკუთრებული სიმწვავით ხასიათდებოდა შეჯიბრება დაშნაში. მხოლოდ დამატებითი ბრძოლების შემდეგ გადაწყდა პირველი ადგილის ბედი. ჩემპიონი გახდა სარატოველი კ. ბრაუნიკოვი.

ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა მოსკოველმა ნ. ორეშინამ, რომელმაც გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხა სარატოველი ვ. ოფიცეროვა.

გ. ალაფიშვილი



ᲛᲘᲯᲜᲐᲠᲝᲓᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡᲯᲕᲚᲘᲡ 40 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

სად და როდის ჩაჯარდება ზონებში შეხვედრები სპორჯის ცალკეულ სახეობებში

კალათბურთი. I ზონა, ქუთაისი — 8_11 მარტი. II ზონა, ფოთი — 4_7 მარტი. III ზონა, ქუთაისი — 12_15 მარტი. IV ზონა, გორი — 1_4 მარტი. V ზონა, თბილისი — 1-4 მარტი. VI ზონა, თელავი — 5_8 მარტი.

თავისუფალი ჭიდაობა. I ზონა, მახარაძე — 11_13 მარტი. II ზონა, ცხაკაია — 7_9 მარტი. III ზონა, ქუთაისი — 12_14 მარტი. IV ზონა, კასპი — 1-3 მარტი. V ზონა, მცხეთა — 1_3 მარტი. VI ზონა, წითელწყარო—5_7 მარტი.

ქართული ჭიდაობა. I ზონა, ჩოხატაური — 8_10 მარტი. II ზონა, ცხაკაია — 11_13 მარტი. III ზონა, ქუთაისი — 1_3 მარტი. IV ზონა, კასპი — 4_6 მარტი. V ზონა, მცხეთა—4_6 მარტი, VI ზონა, საგარეჯო — 1_3 მარტი.

ველორბოლა გზატკეცილზე. I ზონა, ჩოხატაური — 15_17 მარტი. II ზონა, ზუგდიდი — 8_10 მარტი. III ზონა, ქუთაისი — 23_25 მარტი. IV ზონა, გორი — 15_17 მარტი. V ზონა, მცხეთა — 13_15 მარტი. VI ზონა, საგარეჯო — 24_26 მარტი.

ფრენბურთი. I ზონა, ქუთაისი 4_7 მარტი. II ზონა, ფოთი — 8_11 მარტი. III ზონა, ქუთაისი — 16_19 მარტი. IV ზონა, გორი — 5-8 მარტი. V ზონა, თბილისი — 5_8 მარტი. VI ზონა, გურჯაანი — 9_12 მარტი.

მძლეოსნობა. I ზონა, ჩოხატაური — 22_24 მარტი. II ზონა, ზუგდიდი — 15-17 მარტი. III ზონა, ქუთაისი — 20_22 მარტი. IV ზონა, გორი — 19_21 მარტი. V ზონა, თბილისი— 9_11 მარტი. VI ზონა, თელავი — 21_23 მარტი.

ძალოსნობა. I ზონა, ქუთაისი — 1_3 მარტი. II ზონა, ცხაკაია — 4_6 მარტი. III ზონა, ქუთაისი — 1-3 მარტი. IV ზონა, გორი — 12_14 მარტი. V ზონა, მცხეთა — 7_9 მარტი. VI ზონა, თელავი — 9_11 მარტი.

ტყვიით სროლა. I ზონა, სამტრედია — 4_6 მარტი. II ზონა, ზუგდიდი — 1_3 მარტი. III ზონა, ქუთაისი — 1_3 მარტი. IV ზონა, გორი — 12_14 მარტი. V ზონა, მცხეთა — 10_12 მარტი. VI ზონა, თელავი — 9_11 მარტი.

ფეხბურთი. I ზონა. 5, 12, 19 მარტი. II ზონა, 5, 12, 19 მარტი. III ზონა, 5, 12, 19 მარტი. IV ზონა, 5, 12, 19, 26 მარტი. V ზონა, 5, 12 მარტი. VI ზონა, 5, 12, 19 მარტი.

შენიშვნა: ზონებში ფეხბურთელთა ტურნირი ჩატარდება ერთმანეთში მისვლით.

* * *

ᲮᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ქუთაისელი მძლეოსანი მ. პაპიაშვილი შორიგი ვარჯიშის დროს.

ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔᲡ

ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს ინიციატივით ბაკურიანში აქტიურად ესვენებდნენ საწარმოს მუშა-ფიზკულტურელები. ფიზკულტურის ძირეული საბჭოს თავმჯდომარის ა. გვენცაძის და თბილისის ტურისტული ბაზის გამყოლ კ. გოგიშვილის ხელმძღვანელობით მეფეხსაცმელეებმა მოაწყვეს ლაშქრობა — განვლეს 20 კილომეტრი და შემდეგ ბაკურიანის პარკში ჩაატარეს შეჯიბრება სლალომში.

მუშა-ფიზკულტურელები კმაყოფილი დაბრუნდნენ თბილისში.

ჯ. ᲛᲝᲠᲒᲝᲨᲘᲐ,
ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

ᲚᲔᲚᲝ

ᲛᲔ-3 ᲒᲒ. № 10 (1646)

სპორტული ფურცელი

ბიბლიოთეკა

„მესამე გუნდის“ გამარჯვება

ერთხელ მილანში შედგა ასეთი საინტერესო მატჩი ფეხბურთში: თამაშობდა ორი გუნდი, რომელთაგან ერთში იყვნენ მხოლოდ უცოლოები, ხოლო მეორეში — ცოლიანები. როცა ანგარიში გახდა 1:0 უცოლოთა სასარგებლოდ და მსაჯმა არ ჩათვალა ცოლიანთა მიერ საეჭვოდ გატანილი გოლი, ამ უკანასკნელთა პატივცემული მეორე ნახევრები გადმოცვივდნენ მინდორზე და ერთიანად დასერეს მსაჯი... პომადის ფანქრებით. წითლად აკრელებული მსაჯი იძულებული იყო მიენებებინა თავი თამაშისათვის და გაქცეულიყო სტადიონიდან. ამის გამო გაურკვეველი დარჩა საკითხი, თუ ვინ უფრო ძლიერი იყო — ცოლიანებისა თუ უცოლოთა გუნდი, გაიმარჯვა „მესამე გუნდმა“.

გაცრუებული იმედები

ოლიმპიური თამაშების დღეებში რომს უამრავი სტუმარი ეწვია ტურისტის სახელით. ვინ იყო მათში ნამდვილი ტურისტი და ვინ ამ უწყინარ სახელს ამოფარებული, დღემდე საიდუმლოდ დარჩა. თუმცა დროთა განმავლობაში ზოგიერთი მათგანის ზოგიერთი ტურისტული წარმოშობა დღის სინათლეზე ამოტივტივდა.

აი ერთი მაგალითი. ბანკის ყოფილი ჩინოვნიკის. რუდოლფ კანცელის პირად ბარათში გარკვევით ეწერა სიტყვა ტურისტი. იგი მხარზე გადაკიდებული აპარატით, არხეინად დადიოდა რომის ქუჩებში, იღებდა სურათებს, ესაუბრებოდა სპორტსმენებს, ყიდულობდა სუვენირებს, ერთი სიტყვით, ტურისტის ყველა ფორმალურ ნიშნებს ამჟღავნებდა. რა ედო გულში ამ გაურკვეველი პროფესიის ადამიანს, არავინ იცოდა. გაქნილ საქმოსანს ტყუილუბრალოდ არ გაუტარებია ორი კვირა რომში. მას თამაშები ოდნავადაც არ აინტერესებდა თურმე. იგი ჩამოვიდა რომში სანადიროდ და მშობლიურ გერმანიაში კარგი ნადავლით დაბრუნდა. კანცელმა მუდმივ ქალაქში ხელმისაწვდომ ფასად იყიდა ცნობილი დასავლეთგერმანელი მძლეოსანი კარლ კაუფმანი—ორი ოლიმპიური ვერცხლის მფლობელი. რაში სჭირდება ამ ბნელ პიროვნებას კაუფმანი? თურმე იმისათვის, რომ უზრუნველჰყოს თავისთვის ბედნიერი სიბერე. კანცელმა ალღო აუღო სპორტის პოპულარობას მთელს მსოფლიოში და გადაწყვიტა „პატარა ბიზნესის“ გაკეთება კაუფმანის სახელზე. საქმე იმაშია, რომ კაუფმანი ესტრადის მომღერალია და კანცელის აზრით გულუბრყვილო ადამიანები არ დაინანებენ ფულს „მსოფლიოში ყველაზე სწრაფი“ მომღერლის კონცერტზე მოსასვლელად.

კაუფმანმა დაიჯერა კანცელის ზღაპრები იმის შესახებ, რომ მას ნიუიორკში ელიან მოუთმენლად, რომ მის კონცერტებს ამერიკის ტელევიზია გადასცემს და მოაწერა ხელი კაბალურ კონტრაქტს. მომღერალი და ანტრეპრენიორი ჩავიდნენ ნიუიორკში, მაგრამ პირქუში ქალაქი მათ მტრულად შეხვდა. არავითარი შეხვედრები, არავითარი აუიოტაჟი, ისინი მოკრძალებულად დასახლდნენ ერთ-ერთ მივიწყებულ პანსიონში და ოლიმპიურმა ვარსკვლავმა დაიწყო მოხეტიალე მუსიკოსის უღიმღამო ცხოვრება.

რა ელის მას სპორტულ სარბიელზე, ეს ყველამ კარგად იცის. სულ ცოტა ერთი წლის დისკვალიფიკაცია ან შეიძლება კაუფმანს საერთოდ აუკრძალონ მძლეოსნობაში გამოსვლა.

კაუფმანზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაშია სპრინტის მეფე, ორი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი, მსოფლიოს რეკორდსმენი არმინ ჰარი. მას უკვე მიუსაჯეს 1 წლით დისკვალიფიკაცია იმისათვის, რომ პატიოსანი სპორტსმენის სახელი ფულზე გასცვალა.

... დაიწყო კი ყველაფერი კარგად, იმედადნად. თამაშების დახურვის დღეს ჰარი გააცნეს ერთ დასავლეთგერმანელ ტურისტს, რომელიც მიუნჰენის კინოკომპანიაში — „გლორიაფილმში“ მუშაობდა, უცნობმა მას დაუხატა ლამაზი მომავალი, დიდი ფინანსური ჰორიზონტები.

უცხოეთის პრესა დიდი ხმაურით შეხვდა ამ სენსაციას. ოლიმპიურმა ჩემპიონმა უარი თქვა სპორტზე თავისი დიდების ზენიტში. საზოგადოების ნაწილი ამტყუნებდა მას სიხარბესა და გაუმაძღრობაში და ეს ბრალდება არ იყო საფუძველს მოკლებული.

არმინ ჰარი და კარლ კაუფმანი მანამ იყვნენ პოპულარულები, სანამ სპორტს ემსახურებოდნენ. ისე კი ვის რაში დაჰირდება საშუალო მომღერალი კარლ კაუფმანი და საეჭვო ნიჭის მქონე კინომსახიობი არმინ ჰარი.

ნ. ბარიშვილი

★

სურათზე: მსოფლიოს ორი უძლიერესი სპორტსმენი ა. ჰარი (მარცხნივ) და ჯ. ოუენსი.



ფეხბურთის ყველა ამბავი

„მონაკო“ თუ „რესინგი“?

საფრანგეთის ჩემპიონატში გათამაშებულია 23 ტური. აშკარად არ წყალობდა ბედი „რეიმსს“. ის-ის იყო, გუნდმა გამოასწორა მდგომარეობა და ჩემპიონობის შენარჩუნების კარგი შანსები მიიღო, რომ მძიმედ დაშავდა ფონტენი, ხოლო უკანასკნელ მატჩში მწყობრიდან გამოვიდა თავდასხმის ლიდერი — კოპა. ამ ორი წამყვანი ფორვარდის გარეშე „რეიმსის“ თავდასხმამ დაკარგა სიმწვავე და გუნდმა ბოლო ტურში დაკარგა მეტად საჭირო 2 ქულა „ანჟესთან“ დამარცხებით — 2:3.

მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდათ დანარჩენ ლიდერებსაც. „მონაკომ“ გაჭირვებით მოუგო „გრენობლს“ (1:0), ხოლო „რესინგმა“ მხოლოდ ფრეს მიაღწია „რენთან“ (1:1). ამჟამად პირველ ადგილზეა „მონაკო“, რომელსაც 34 ქულა აქვს. ამდენივე ქულა, მაგრამ ბურთების უარესი შეფარდება აქვს „რესინგს“. 30 ქულა აქვს „რეიმსს“.

ყიდულობენ ფეხბურთელებს

არგენტინის კლუბმა „რივერ პლატამ“, რომელიც უმაყოფილოა ეროვნული ჩემპიონატის შედეგებით, ევროპაში მიავლინა კლუბის პრეზიდენტი ლიბერტი, რომლის დანიშნულება იყო რამდენიმე „ვარსკვლავის“ შეძენა. ლიბერტი შეჩერდა „რეიმსის“ თავდამსხმელ რ. პიანტონიზე, თუმცა იგი არც ისე ახალგაზრდაა (დაბადებულია 1932 წელს).

ლიბერტიმ პიანტონის შეაძლია 10 მილიონი ფრანკი (20 ათასი დოლარი) და დაპირდა საქმის მოგვარებას მის კლუბთან. „რეიმსმა“ არ დაანება ლიბერტის თავისი მოთამაშე და მოითხოვა კლუბისათვის 50 მილიონი ფრანკი, მაშინ, როცა არგენტინელს შეეძლო მიეცა მხოლოდ 40 მილიონი. ამგვარად, პიანტონი ისევ თავის ძველ კლუბს დარჩა.

საფრანგეთიდან ლიბერტიმ ესპანეთში გაუხვია. „რეალის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების შემდეგ მან იყიდა ახალგაზრდა ნიჭიერი ცენტრფორვარდი პეპილიო, რომელიც უკვე რამდენიმე წელია დი სტეფანოს დუბლიორად ითვლება და ცვლის მას მცირე მნიშვნელობის მატჩებში. მიმდინარეობს აგრეთვე მოლაპარაკება „ბარსელონას“ ხელმძღვანელობასთან საკმაოდ ხანდაზმულ კუბალას თაობაზე. ეს ცნობილი ფორვარდი, რომელიც თავის დროზე ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ თამაშობდა ე. წ. „დანარჩენი ევროპის“ გუნდის შემადგენლობაში, „ბარსელონაში“ უკვე კარგა ხანია ახლგაზრდა ფეხბურთელებმა შეავიწროვეს და დროის დიდ ნაწილს სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე ატარებს. ლიბერტის იმედი აქვს, რომ „ბარსელონა“ მას დაუთმობს კუბალას.

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასზე

დიდი ინტერესი გამოიწვია სამხრეთ ამერიკის ჩემპიონების თასის პირველმა გათამაშებამ, რომელიც ურუგვაის ჩემპიონის „პენიაროლის“ გამარჯვებით დამთავრდა.

თასის მეორე გათამაშებაში წელს მონაწილეობას მიიღებენ „უნივერსიდად ლიმა“ (პერუ), „კოლო-კოლო“ (ჩილი), „ელსოლი“ (პარაგვაი), „ინდეპენდ-ენტე“ (არგენტინა) და „პენიაროლი“ (ურუგვაი). თავისებურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია. მას უნდა ამოერჩია გუნდი რიო-დე ჟანეიროსა (შტატის ჩემპიონია „ამერიკა“) და სან-პაულუს (შტატის ჩემპიონია „სანტოსი“) უძლიერეს კლუბებს შორის. ფედერაციის გადაწყვეტილებით ჩემპიონების თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს „პალმეირასი“ (მეორე ადგილი სან-პაულუს შტატებში).

სამხრეთ ამერიკის ჩემპიონების თასში გამარჯვებული ორ მატჩში შეხვდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასში გამარჯვებულს.

რედაქტორი ი. უგულავა

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების თბილისის საბჭოს ველოსექცია 23 იანვრიდან 5 თებერვლამდე ატარებს თბილისში მცხოვრები მსაჯების რეგისტრაციას. რეგისტრაცია იწარმოებს ველოტრეკზე ყოველდღე, საღამოს 17 საათიდან 20 საათამდე. მსაჯები, რომლებიც რეგისტრაციას არ გაივლიან სპორტულ ღონისძიებებზე არ დაიშვებიან.

ველოსექციის პრეზიდიუმი.

„განთიადის“ ცენტრალური საბჭო აცხადებს, რომ საჭადრაკო ამოცანების რეხპუბლიკური კონკურსის ვადა (რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის აღსანიშნავად, იხ. გაზეთი „ლელო“, 1960 წ. 17 ივლისის № 84), გაგრძელებულია. 15 აპრილამდე.

27 იანვარი—3 თებერვალი

განათლების სამინისტროს გავშვთა ტანვარჯიშული სკოლის დარბაზი

საკავშირო შეჯიბრება

ხელბურთში

დასაწყისი 10 და 18 საათზე.

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების თბილისის საბჭო აცხადებს, რომ 22 იანვარს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ატარებს დედაქალაქის ფეხბურთის აქტივის კრებას. დღის წესრიგშია: საქალაქო სექციის ანგარიშგება და არჩევნები.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ვლადიმერ ლენინის ქუჩა № 12, ტელეფონები: რედაქტორის—3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЗ 05420